


отраслях, не определяют социального уровня общества. Общий же уровень образования, как правило, не соответствует отдельным достижениям техники. С этой точки зрения, реформа образования должна рассматриваться в контексте с международными образовательными системами.

ZURAB TUITSKIRIDZE

## THE MAIN PILLAR OF THE EDUCATION SYSTEM

### ABSTRACT

According to the famous Western sociologists, the intensive development of the country's economy doesn't much depend on the highly qualified staff of the country but also on the general education level of the population; furthermore, on separate scientific branches and especially on highly technological ones. And it is frustrating, when the level of population education doesn't match with separate technical advances. Thus, the basic content of the educational reform being performed in the country and its direction can be evaluated only in the context of the development of the world education systems.



დავით გალაზონია, თამარ ჭეკლაძე

### ერთობი ენის საკითხი XIX საუკუნის გაორა ნახევრის საექლესიო-სამრევო ცენტრი

საექლესიო-სამონასტრო სასწავლებელთა არსებობას ჩვენში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. XVIII საუკუნეში ამ ტიპის კერძები გახსნილი იყო სიონის, ანთისხატის, მეტეხის, კალოუბნის, ხობის, გელათის, ცაგერის, მანგლისისა და სხვა ტაძრებთან (1; 52-53); კიდევ უფრო გაიზარდა მათი რაოდენობა XIX საუკუნის შეუძლებელისათვის იმ განსხვავებით, რომ ისინი რესერტის იმპერიის ქოლონიური პოლიტიკის წყალობით მოწყვეტილი აღმოჩნდნენ ეროვნულ შინაარსს.

სამრევლო სეოლების ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა უწმინდესი სიხრის 1884 წლის 13 ივნისის განკარგულებას. უმაღლესი რესპუბლიკის ძალით საექლესიო სეოლების გახსნა და მათზე მეთვალყურეობა სასულიერო უწყების მოვალეობად იქცა.

ქართველი სამდგრელოება არ გაურბოდა გაზრდილ პასუხისმგებლობას და ერთსულოვნად გამოთქვამდა მზადყოფნას, საკუთარი ძალით გაძლიერდა საექლესიო განათლების გაფართოების რთულ და საპატიო საქმეს (3; №16).

სასულიერო პირთაგან სამრევლო სეოლების საგანმანათლებლო ფუნქციის განმარტებისას იკვეთება რამდენიმე საინტერესო ასპექტი, რაც აეტორთა აზრით, შეუცვლელს ხდიდა ამ ტიპის სასწავლებელთა მნიშვნელობას.

უდაქოდ საინტერესო დაკავირებულებებს გვთავაზობს თბილისის სასულიერო სემინარის რექტორი არქიმანდრიტი ნიკოლოზი. მისი აზრით, საექლესიო სწავლების გავრცელების ღონისძიებათაგან უველაზე უფექტურად უნდა ჩათვლილიყო სამრევლო სეოლები, მათთვის ნიშანდობლივი ორგანიზაციული მხარითა და იდეურობით. არქიმანდრიტის განმარტებით, დასახულ ამოცანათა (რელიგიური ცოდნის მოფენა) შესრულებას, ამ შემთხვევაში, ხელს შეუწყობდა ეკლესიებთან სამრევლო სეოლების ბუნებრივი სიახლოესი, რაც აღსაზრდელთაგან საღვთისმსახურებო პროცესის გაცნობისა თუ რაიმე ფორმით მასში მონაწილეობის საშუალებასაც იძლეოდა (7; №4).

საინტერესო მოსაზრებები ეკუთხნის დეკანოზ დ. დამბაშიძეს. მოსახლეობის ზნეობისა და განათლების ამაღლებაზე საექლესიო-სახალხო სასწავლებლების პოზიტიური გავლენის

პარალელურად ის აღიარებს თვით სწავლების პროცესში, მისი მოცულობისა და ხარისხის ზრდის ნიშნით, სამდგენელოების, როგორც თვითიავად განათლებული წოდების ჩართვის მნიშვნელობას (4; №19).

სამრევლო სკოლების როლზე რელიგიური აღზრდისა და ცოდნის გაერცელებისათვის მიანიშნებენ საეკლესიო გამოცემების არაერთ წერილში („მწემსი“, „საეკლესიო მახარობელი“, „დუხოვნი ვესტნიკი“ და სხვ). მათი ავტორები შენიშვნების, რომ საეკლესიო სასწავლებლების არსებობით, როგორც წესი, იზრდებოდა მრევლის რაოდენობა, მტკიცდებოდა მათი სარწმუნოებრივი და ზეობრივი მდგომარეობა, რეალურად ფართოვდებოდა განათლების მოცულობა.

სამრევლო სასწავლებლების უძირატესობა „სახელმწიფო“ (საერო) სკოლებთან შედარებით, იკვეთებოდა სწავლების სითაფით, მასიურობით (ისესხებოდა ეკლესია-მონასტრების ბაზაზე), სასწავლო-დიდაქტიკური ამოცანების მისაწვდომობით (წარმოადგენდა ელემენტარული განათლების კერძებს), და რაც ჩვენს პირობებში უმთავრესი იყო – დაწყებითი განათლების ამოცანებისა და საშუალებების შესაბამისად მათში სწავლება, მშობლიურ ენაზე წარმოებდა.

ამ სახის „უპირატესობებმა“ განისაზღვრა კიდევ სამრევლო სკოლების ქსელის შედარებით სწრაფი გაფართოება, რაზეც სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს: 1891-1892 წლების აღწერის მიხედვით, ქართულ ქარტებში ფუნქციონირებდა 239 სამრევლო სკოლა (8336 მოსწავლით), ხოლო მომდევნო წლისათვის მათმა რაოდენობამ 271-ს მიაღწია (8; №10) (შედარებისათვის - 1890 წელს საქართველოში 121 სამრევლო სკოლა ირიცხებობა), XX საუკუნის დამდევისათვის კი 318-ს (აქედან მხოლოდ 92 წარმოადგენდა ქართულ სასწავლებელს, 108 სკოლა რუსული იყო, დანარჩენი რაოდენობა მოდიოდა სომხურ, ბერძნულ და ოსურ სასწავლებლებზე) (2; 36-37).

მოწინავე საზოგადოება სწორად ჰკრებდა სასწავლო-ადმზრდებლობითი საქმიანობის რაციონალურად აგების მნიშვნელობას, ქართული ენის საგანმანათლებლო სტატუსის ამაღლებისა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელთა საჭიროებას სამრევლო სკოლების უკეთესი პერსპექტივის თვალსაზრისით (6; №207). ასევე მსჯელობრივ მოწინავე პედაგოგებიც. ისინი სამოღვაწეო სირბიელზე შენიშნულ ხარვეზთა აღმოფხვრისათვის, გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, საერთო პოზიციის შემუშავების მიზნით, სხვადასხვა სახის კრებებს იწვევდნენ, სადაც კატეგორიულად აყნებდნენ სამრევლო სკოლებში სწავლების გაუმჯობესების დონისძიებათა გატარების მოთხოვნას, უპირველესად – მშობლიურ ენაზე სწავლების პრინციპის დაუბრკოლებლად განხორციელებას (5; №175).

სამრევლო სკოლებში სასწავლო საგნების შინაარსის ხალხის შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებთან მიხადაგებისა და სასწავლო პროცესის მშობლიურ ენაზე აგებისათვის იბრძოდა ქართველი სამდვდელოებაც (3; №16). ამავე დროს, ეკლესიის მსახურნი უშიშრად ამსელდნენ ხელისუფლების რეაქციულ კურსს: „რუსეთის ქვეშევრდომ ხალხში სახალხო სკოლებს თავის პირ-და-პირი დანიშნულება დაუკარგავთ. პირველი ადგილი მაგ. პოლშის, საქართველოს, მცირე-რუსეთის და სხვა სახალხო სკოლებში ხალხის განათლებასა და გონების გახსნას კი არ უჭირავს, არამედ თითქმის მარტო იმას, რომ ამ სკოლების საშუალებით ხალხში რუსული ენა გაავრცელონ და თვითონ ხალხი გამოიწვია...“ და იმედოვნებდნენ, რომ საჭირო სიუჩინელის პირებში სამრევლო სკოლები ასცდებოდნენ ამ მძიმე ხევდრს.

განსხვავებულად ჰკრებდა თვითმცყრობელობა სამრევლო სკოლების ამოცანებს. უწმინდესი სინოდის ოფიციალურ მოხსენებაში (1895წ.) კონკრეტულადაა განსაზღვრული საეკლესიო ელემენტარული სკოლების როლი ცარიშმის კოლონიურ პოლიტიკაში. ხალხთა რუსიულიკაციის პროცესში დაწყებითი სკოლების შესაძლო როლზე მოურიდებლად საუბრობდა იმპერიის განათლების მინისტრი დ. ტოლსტიო - „დაწყებითი სკოლების საკითხი მჭიდრო უკავშირდებოდა ჩვენს ადგილობრივ მქონრთა („ინორმდცების“) გარუსების საკითხს“ (9; №1).

დასახული გეგმის შესაბამისად, რეაქციის ზრდის პირობებში აშკარა ძალმომრეობით ხდებოდა სამრევლო სკოლების მოქმედი პროგრამების გადასინჯვა - ქართული ენის შეკვეცის, თუ სრული დიკვიდაციის მიზნით.

სამრევლო სკოლების რუსიულიკაციის გულისხმობდა 1881 წლის ცნობილი დადგენილება, რომლითაც მშობლიურ ენაზე სწავლება დაწყებითი განათლების მხოლოდ პირველ წელს ცხადდებოდა ნებადართულად. 1899 წელს უწმინდესი სინოდის მიერ დამტკიცებულ პროექტში კი აღარაფერია ნათქვამი ნაციონალურ ენებზე სწავლების შესახებ – კანონის ძალით ის „საოჯახო“ ენად, სასწავლებლებში კი – არასავალდებულო საგნად ცხადდებოდა. აღნიშნული გადაწევებილების საფუძველზე, საქართველოს საეგზარქოსმ კოსტორგოვის რეკომენდაციით

1902 წელს მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც სამრევლო სკოლებში სწავლება პირეველიევ სახწავლო წლიდან რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო: „სოფლის დაწყებითი სკოლების სახწავლო ენად რუსულის აღიარება არაფრით არ იყო ნაკარნახევი, გარდა შორს გამიზნული ნაციონალურ უმცირესობათა გარუსებისა. ამ მიზნის მიღწვევისათვის ყველაზე უკეთესი საშუალება, ცხადია, სკოლა იყო...“ – წერდა ამ გადაწყვეტილების შესახებ ი. გოგებაშვილი.

სამრევლო სკოლებში ქართული ენის შეკავეცის პარალელურად ძლიერდებოდა პატრიოტ პედაგოგთა დევნის, მათი შეკიროვების კამანია. მასწავლებლებთან ერთად რეაქციის რეპრესიებს კერც სამდვდელოება გადაუჩნა. ხელისუფლება სახითაოდ თვლიდა სამრევლო სკოლების გახსნისა და პედაგოგიური პროცესის წარმართვის სადავების მათვის დათმობას; და ეს შიში (უნდობლობა) არც თუ უსაფუძვლო იყო – ქართველი სამდვდელოება განათლების სფეროში მისთვის მინიჭებულ უფლებებს, რა იქმა უნდა, ეროვნულ საქმეს ახმარდა, სამშობლოს გმირული წარსულისა და მისი კულტურის პოპულარიზებას სწავლა, მოსწავლებში ნაციონალურ შეგნებას აღვიզებდა და დედა-ენას სამრევლო სკოლებში თავშესაფარს აძლევდა.

ცარიზმის მტრული პოზიცია ქართველი სახულიერო პირებისადმი, მისი შიში ეროვნულ ენაზე მომუშავე სკოლების მიმართ, აგრეთვე, რეაქციის მზადეოფნა – მუდმივი რეპრესიებით დაეთრგუნათ პროგრესულ-დემოკრატიული აზრის განვითარება ჩვენში, კარგად ჩანს ქვეთაისის სამხედრო გუბერნატორის 1899 წლის ანგარიშში – „... საჭიროა სამდვდელოებას ჩამოერთვას სწავლა-განათლების საქმე, სანამ ეს მხარე საქმარისად არ არის შეკავშირებული იმპერიასთან, მანამ სწავლა-განათლება უნდა იქნეს რუსის დამინისტრაციის ხელში, რომ აღზარდოს ახალთაობა რუს სახელმწიფოებრივ მიმართულების მიხედვით და არა ნაციონალური მიდრეკილებით...“ (2; 77).

ხელისუფლება სამრევლო სახწავლებლებსაც იმავე პოლიტიკურ ამოცანებს უსახავდა, რასაც „სამინისტრო“ სკოლებს; რამაც განსაკუთრებით საშიში ხასიათი სამუგრელო-სვანეთში მიიღო: აქ მიზანმიმართულად ხორციელდებოდა ქართველი ხალხის დაქსაქვის, მისი ეროვნული ერთიანობის შევნებულად დარღვევების ვანდალური გვემა, რაც მეგრულ-სვანური ანბანის შეთხვას და რუსულის სინქრონულად სწავლებას გულისხმობდა. გაა. „ივერიის“ ცნობით, ფოთის ორკლასიანი სამრევლო ხელიდან ქართულის განდევნისა და მის მაგიერ მეგრულ-რუსულად სწავლებისად დანერგვის მცდელობას მოქალაქეთა მბაფრი პროტესტი გამოუწევია. ანალოგიური ვითარება იყო ხენაკის მაზრაშიც.

მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას ხელი შეუშალა მოსახლეობის ურცემა პოზიციამ. მოსახლეობის პატრიოტულ შემართებას ზურგს უმაგრებდა სამდვდელოებაც: „დაიხსომეთ, გულში დრმად ჩაიმარხეთ, შვილებო, რომ მეგრელები ძევლისძველი ქართველები ვართ...“ – ხშირად მიმართავს ამ სიტყვებით მეგრვლ ყმაწვილებს ეპისკოპოსი გრიგორი.

თვითმპრობელობის გამთიშველმა პოლიტიკამ განხაუთრებით აფხაზეთში იჩინა თავი. ქართული სამყაროსაგან აფხაზეთის ჩამოცილების მიზნით თვითმპრობელობა ბარბაროსული მეთოდებით შეუდგა აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის ხანგრძლივი ისტორიული ერთობით განმტკიცებული კულტურულ-ეკლესიური და ენობრივი კავშირების მსხვრევას და ეთნიკურ ნიადაგზე მათ შორის დაპირისპირების პროვოკირებას. ხელისუფლება (საერო თუ სასულიერო) პრინციპულად უარყოფდა აფხაზეთის სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების შესაძლებლობასაც კი. ოფიციოზის გეგმებს ამხედვდა აფხაზეთის ქართველი სამდვდელოება. ისინი მკაფიოდ უთითებდნენ (სათანადო ფაქტების იღუსტრირებით) ქართველი და აფხაზი ხალხის ისტორიულ სიხალოეს, ნათელყოფნენ აფხაზთა სურვილს ესწავლებინათ მათვის „ახლობელი ქართული ენა“.

ამავე დროს, უაღმრესად პუმანური იყო აფხაზი ხალხის მიმართ ქართველი სასულიერო პირების დამოკიდებულება. მათი ზრუნვის საგანს არა მხოლოდ ქართველი, არამედ აფხაზი მოსახლეობის თვითმყოფადობის, ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებაც წარმოადგენდა – ცარიზმის პოლიტიკა აფხაზებს ხომ სრულ ასიმილაციას უქადდა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ინიციატივა – აფხაზი სამდვდელოების მომზადების მიზნით, თბილისის სახულიერო სემინარიაში მათვის სპეციალურად შემოეღოთ აფხაზურ კნაზე საღეთისმეტყველო დისციპლინების სწავლება (2; 211).

თვითმპრობელობის შემოტევას ქართველი სამდვდელოება ეროვნული და სახოგადოებრივი საქმიანობის გაქტიურებით პასუხობდა – მიუხედავად უკიდურესად არახელსაყრელი ვითარებისა, ძალთა მაქსიმალური მობილიზებით, კვლავაც აგრძელებდა ჭეშმარიტად სახალხო საგანმანათლებლო მისის განხორციელებას. სასულიერო პირების ამ სახის ინიციატივის

ზოგადეროვნულ მნიშვნელობას ზრდიდა ხელისუფლების მტრული პოზიცია ქართველი ხალხის მიმართ.

ასეთ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრებოდა ქართველი სამღვდელოების შეუპოვარ ბრძოლას სამრევლო სკოლების დაარხებისა და მათში ქართულ ენაზე სწავლებისათვის. ჩვენს ხელთ არსებული მასალები ცხადჰყოფებს სასულიერო პირთა განმანათლებლური მოღვაწეობის შთამბეჭდაობას; საეპარქო სასწავლებელთა საბჭოს (ცნობით (1891წ.), სამღვდელოების ძალისხმევით დაარსებულა კობის, ორტანის, ბაჟურციხის, ხაშმის, ჯუმათის... სამრევლო სკოლები; სოფელ ალისუბნის სკოლის დაარსებაში დიდი იყო მდგრად მელიტონ ქლენჯერიძის დამსახურება; ასევე, ადგილობრივ სასულიერო პირთა მონდომებით სამრევლო სკოლები გახსნილა სოფელებში: ნინოწმინდაში, კიციაში, დიღომში (გახსნის საზეიმო ცერემონიალს ეგზარქოსი უძღვებოდა, შენობა ვერ იტევდა ხაბატით სტუმრებს), ბანბაში (აქაური მღვდლის მოწოდებას ენერგიულად გამოეხმაურა სოფლის თავკაცობა და საერთო დვაწლით სასწავლებელი სამაგლიოთო მოაწყებს); თვალსაჩინო იყო რაჭის სამღვდელოების მოქმედება – რამდენიმე მაღალმოიან სოფელში (ბეგუფლი, პატარა ონი, მიქარწმინდა...). მათ საკუთარი ხარჯით გახსნეს სამრევლო სკოლები და პედაგოგობასაც უსასყიდლო უწევდნენ ადგაზრდებს; მიუხედავად უკიდურესი ხელმოკლეობისა ჭიათურის სასულიერო პირებს მაინც მოუხერხებიათ სამრევლო სკოლის რიგიანად გამართვა; სამაგალიოთო იყო ახალ-სენაკისა და ახუთის კლესის მსახურთა (ა. პაპასეირის, ა. გერსამიას, ნ. ჯალადონიას და ლ. ნარუშეილის) შეხაბამისი მოქმედებაც; დიდი დვაწლი მიუძღვოდა სოფლის წინაშე შინდისის კლესის მოძღვარს. მისი მუდმივი მხრუნველობით აქაური სამრევლო სკოლა ერთ-ერთი სანიმუშო გამხდარა: ასეთსაც მაღალ შეფასებას იმსახურებდა მცხეობის სამრევლო სკოლა (მოსწავლეებმა მრავალჯერ ისახელეს თავი მაღალი აკადემიური მოსწრებით); იგივე ითქმის ბახვის, ვარძის, კაცხის, აწყურის, საჩხერის, ხონის, დიდი – ჯიხაიშის, დაბლა-საქარის, მარტვილის, ხეთის, აბაშისა და სხვა სამრევლო სკოლების შესახებაც.

სათანადო მასალის მრავალრიცხოვნობა თითოეული ფაქტის თუნდაც სქემატურად დაფიქსირების საშუალებას არ იძლევა. მათი გულდასმით შესწავლა კი გვიდასტურებს ქართველი სამღვდელოების აქტიურ ეროვნულ პოზიციას, ნათელს ხდის მათგან მაღალი საერთისკაცო მისიის – საგანმანათლებლო მოღვაწეობის სიღრმისებულ გათავისებას, სასულიერო პირთა უზადო პატრიოტიზმსა და მაღალმოქალაქეობრივ შეგნებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაგუა გ. სახალხო განათლება XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბ., 1974.
2. პავლიაშვილი ქ. საქართველოს ხაგ ზარქოს 1900–1917 წლებში, თბ., 1996.
3. უკრ. „მწყემსი“, 1884.
4. უკრ. „მწყემსი“, 1889.
5. გაზ. „დროება“, 1878.
6. გაზ. „დროება“, 1882.
7. Журн. "Духовный Вестник Грузинского Экзархата", 1891.
8. Журн. "Духовный Вестник Грузинского Экзархата", 1894.
9. Журн. "Министерства народного просвещения", СП., 1867.

### დავით გალაზონი, თამარ უხალაძე

### ეკართული ცნის საკითხი XIX საუკუნის გეორგი ნახავრის საეკლესიო-სამრევლო სერიაზი

#### რეზიუმე

სამღვდელოების როდი ქართველი ხალხის განათლების საქმეში განსაკუთრებით წარმოჩნდა საეკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნასა და მათზე მზრუნველობაში.

ოფიციალური სკოლისაგან განსხვავებით, სამრევლო სასწავლებლებში, როგორც დაწყებითი განათლების კერებში, სწავლება, ძირთადად, მშობლიურ ენაზე მიმღინარეობდა, ამ უფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ქართველი სასულიერო პირები წარმატებით უპიროსპირდებოდნენ ცარისმის რეაქციონერ მოხელეებს.

ДАВИД МАЛАЗОНИЯ, ТАМАР ПХАЛАДЗЕ

ВОПРОС ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА В ЦЕРКОВНО-ПРИХОДСКОЙ ШКОЛЕ ВТОРОЙ  
ПОЛОВИНЫ XIX ВЕКА

РЕЗЮМЕ

Роль духовенства в деле просвещения грузинского народа особенно проявилась при открытии церковно – приходских школ и в заботе о них.

В отличие от официальных школ, в приходских училищах, как в начальных образовательных очагах, учеба в основном проходила на родном языке. В борьбе за сохранение этого права грузинские духовные лица с успехом сопротивлялись реакционным силам царизма.

DAVID MALAZONIA, TAMAR PKHALADZE

THE ISSUE OF GEORGIAN LANGUAGE IN THE CHURCH-PAROCHIAL SCHOOLS OF THE II  
HALF OF XIX CENTURY

ABSTRACT

The role of clergy in Georgian people's education has been particularly demonstrated in the opening of church-parochial schools and caring about them. Different from the official school, in parochial schools, as in primary educational hearths, the study basically was executed into native language. In the battle for maintenance this right Georgian ecclesiastics successfully resisted reactionary officials of Tsarism.



მარინე ფალავაძეიშვილი

მასნაურებლის კულტურული რეზონა რომელს მოღიან სტუკარი

განათლების თანამედროვე სტრატეგიაში მასწავლებლის პროფესიულ ოსტატობას მნიშვნელოვანი აღვიდი ეთმობა. პედაგოგიური ოსტატობა, როგორც ცნობილია, ჩნდება ქმედებაში, მაგრამ ქმედებამდე არ დაიყვანება. მასწავლებლის პედაგოგიური ოსტატობის არსებ შეადგინს მისი პიროვნება, პოზიცია, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის მაღალ პროფესიულ დონეზე მართვის უნარი.

პედაგოგიკაში მასწავლებლის ოსტატობა, როგორც კრთიანი სტრუქტურა, დაიყოფა 3 ურთიერდამოკიდებულ ქვესისტემად (ტექნოლოგიური, სოციალურ-ფიქოლოგიური და ესთეტიკური).

ტექნოლოგია პიროვნების ზემოქმედების ზუსტ საშუალებათა სისტემას წარმოადგენს, რომელიც მასწავლებელს ხელს უწყობს, მიაღწიოს სასურველ შედეგს. მასწავლებლის ოსტატობა ისაა, რომ თითოეულ ბავშვს მიუდგას ინდივიდუალურად, დაეხმაროს მისი მონაცემების გახსნას, გაითვალისწინოს ინტერესები და შესაძლებლობები.

მასწავლებელსა და ბავშვს შორის (თვით მოსწავლეთა შორის) კომუნიკაციის დამყარება სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის უმთავრესი ამოცანაა. მასწავლებელი-ოსტატი უოველთვის ცდილობს, ბავშვს აარიდოს კონფლიქტები, სხვადასხვა წინააღმდეგობები გადაწყვიტოს კეთილმოსურნე ატმოსფეროში.

მასწავლებლის ოსტატობის ერთიან სტრუქტურაში ტექნოლოგიური და ურთიერთობის